

დამტკიცებულია
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის
პარტნიორთა საერთო კრების მიერ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ქუთაისის უნივერსიტეტი
ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები და რეგულირების სფერო

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საზოგადოების წესდება.

2. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება:

ა) ადმინისტრაციულ პერსონალზე: დირექტორი, რექტორი, საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები (მათ შორის დეკანი), დეკანის ოფისისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელები;

ბ) აკადემიურ პერსონალზე: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები;

გ) მასწავლებელთა პერსონალზე: უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები;

დ) მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალზე: მოწვეული პროფესორები, მოწვეული მასწავლებლები;

ე) სერტიფიცირებად საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა პერსონალზე: სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლები;

ვ) მეცნიერთა და მკვლევართა პერსონალზე: სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი პროექტების/პროგრამების ხელმძღვანელები და მკვლევარები;

ზ) დამხმარე პერსონალზე: თანამშრომლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს.

თ) უნივერსიტეტის სტუდენტებზე, მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებზე;

3. კოდექსი განსაზღვრავს საზოგადოების ფუნდამენტურ ფასეულობებს, ადგენს მათ შესაბამისობას პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებთან. იგი განსაზღვრავს ქცევის წესებს საზოგადოების შიგნით და ყველა იმ პირის მიმართ, ვინც უშუალოდ ან ირიბად არის დაკავშირებული უნივერსიტეტის საქმიანობასთან.

4. კოდექსის მიზანს წარმოადგენს დაარეგულიროს საზოგადოების წევრთა შიდა ურთიერთობები ისევე როგორც ურთიერთობები ყველა გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა სახის დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა, მოხდეს კონფლიქტების მართვა, ორგანიზაციული გარემოს გაუმჯობესება, წახალისებულ იქნას კეთილსინდისიერი ქცევა და თავიდან იქნას აცილებული ეთიკურად არასწორი ან უკანონო ქმედება.

5. ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს, მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპები.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის პრინციპები

1. საზოგადოების საქმიანობის პრინციპებია:

- უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და ხელმძღვანელების გადაწყვეტილებათა **საჯაროობა და ხელმისაწვდომობა**;

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების **აკადემიური თავისუფლება**;

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების **მონაწილეობა მართვის პროცესში**;

- აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოების **არჩევითობა სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფით;**

- **თანასწორუფლებიანობა** განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

2. უნივერსიტეტი ცნობს სამეცნიერო კვლევის ავტონომიას და სწავლების თავისუფლებას, როგორც ცოდნის შექმნისა და გავრცელების ფუნდამენტურ ღირებულებას. იგი კისრულობს ვალდებულებას ხელი შეუწყოს როგორც სამეცნიერო და ინსტიტუციონალურ კონტექსტს, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის მანძილზე განგრძობადი სწავლის სტიმულირებას, ასევე სამეცნიერო და კვლევით გაცვლებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაც წარმოადგენს გზას სრულყოფილების მისაღწევად.

3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური, პასუხისმგებლიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას საერთაშორისოდ აღიარებული უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, ინდივიდუალური უნარ-ჩვევების და გამოცდილების გაღრმავებითა და გაძლიერებით და ცოდნის გამდიდრების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის გზით. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს ეთიკური ღირებულებების გაძლიერებასა და აკადემიური მთლიანობის დაცვას;

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის წესები და სტანდარტები

წინამდებარეეთიკის კოდექსით განსაზღვრული ქცევის წესები და სტანდარტები განისაზღვრება:

ა) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის (შემდეგში „პროფესორ-მასწავლებელი“);

ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის (შემდეგში „ადმინისტრაცია“);

გ) სტუდენტებისათვის და მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებისათვის (შემდეგში „სტუდენტი“).

მუხლი 4. პროფესორ-მასწავლებლის სტანდარტი

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი პერსონალის (შემდეგში „პროფესორ-მასწავლებელი“) უმთავრესი მოვალეობაა ჩამოაყალიბოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი, ხელი შეუწყოს მასში შრომისმოყვარეობის, საზოგადოების დანარჩენ წევრთა პატივისცემისა და კანონმორჩილების თვისებების გამომუშავებას, რის უზრუნველსაყოფად მისი ქცევა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ სტანდარტებს:

ა) პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია;

ბ) პროფესიული საქმიანობისას სტუდენტებს აძლევს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებების დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს;

გ) სასწავლო პროცესს წარმართავს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო

გეგმის მიხედვით;

დ) დარგის, ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად ანახლებს სალექციო კურსის თემატიკასა და სტრუქტურას, მუდმივად სრულყოფს მისი წარმართვის მეთოდოლოგიას; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციების კომპეტენტურად შესრულებაზე და მუდმივად ზრუნავს ცოდნის განახლებასა და გადრმავებაზე;

ე) სტუდენტებს უწევს ინტელექტუალურ და აკადემიურ ხელმძღვანელობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საკონსულტაციო განრიგის შესაბამისად (პედაგოგის დატვირთვის ნაწილი), ასევე დამატებით, სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით; ეხმარება სტუდენტს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადალახვასა დასაგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში;

ვ) ლექციაზე შედის დროულად, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული, არ უშვებს ლექციის განსაზღვრულ დრომდე დასრულების ან/და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებს; ეფექტურად იყენებს სწავლებისათვის განკუთვნილ დროს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;

ზ) დანიშნულ დროს, დადგენილი წესის შესაბამისად ატარებს გამოცდას და აფასებს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნას;

თ) ქმნის პირობებს გამჭვირვალე აკადემიური გარემოს შესაქმნელად, სტუდენტებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ; შეიმუშავებს და ნერგავს სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც გამორიცხავს პლაგიატსა და პროფანაციას;

ი) აღიარებს და იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ შორის გამოგონებებსა და საავტორო უფლებებს;

კ) იცავს კონფიდენციალობას სტუდენტების, კოლეგებისა თუ სწავლების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) იჩენს თანაბარ (არაფადმილიარულ) ყურადღებას ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა; ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მიუხედავად მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა;

მ) პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად; ხელს უწყობს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას;

ნ) თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, ამავე დროს პატივს სცემს განსხვავებულ შეხედულებებს; არ ეწევა სტუდენტებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;

ო) არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის; არ იღებს სტუდენტისაგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს მაღალი შეფასებისა თუ მისთვის სხვა უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ, არ იყენებს სტუდენტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;

- პ) არ აყენებს სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას, სტუდენტებთან ურთიერთობისას იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს;
- ჟ) ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს სტუდენტთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- რ) მეტყველებს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით;
- ს) უფრთხილდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, იყენებს დანიშნულებისამებრ და გამორიცხავს რესურსების გამოყენებას თვითნებურად, პირადი მიზნებისათვის;
- ტ) უფრთხილდება უნივერსიტეტისა დაზოგადად, უმაღლეს იგანათლების რეპუტაციასა და პრესტიჟს. უნივერსიტეტის სახელით საჯარო განცხადების/კომენტარის გაკეთების შემთხვევაში იცავს ეთიკის კოდექსსა და სხვა პირთა უფლებებს. თუ განცხადება/კომენტარი არ არის დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან, სავალდებულოდ აღნიშნავს, რომ განცხადება/კომენტარი გამოხატავს მის პირად პოზიციას;
- უ) სტუდენტებთან ურთიერთობას წარმართავს ისეთი ფორმით, რაცსაფრთხეს არ უქმნის ლექტორის მიერ სტუდენტის სწავლის შედეგის ობიექტურ დასამართლიან შეფასებას და რაც სტუდენტს პირადული კონფლიქტის ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად არაქცევს (არ უნდა ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რითაც რომელიმე სტუდენტს/სტუდენტებს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში);
- ფ) გამოავლენს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევას (არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის ფარგლებში იკვლევს გამომწვევ მიზეზს და იღებს შესაბამის ზომებს მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.
2. პროფესორ-მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამკვიდრებას, რის უზრუნველსაყოფად:
- ა) თანამშრომლობს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან/ადმინისტრაციასთან და თავისი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის განვითარებაში;
- ბ) სისტემატიურად იღწვის აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად;
- გ) აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში;
- დ) არ ერთვება ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;
- ე) პატივისცემით ეპყრობა დამხმარე (ადმინისტრაციულ-ტექნიკურ) პერსონალს და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
- ვ) ხელს უწყობს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და თავს არიდებს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას;
- ზ) საჭიროებისამებრ, პროფესიულ და კვალიფიციურ დახმარებას უწევს კოლეგებს, უზიარებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას;
- თ) პატივისცემით ეკიდება კოლეგების აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად

და ობიექტურად აფასებს მათ საქმიანობასა და ნაშრომებს;

ი) კოლეგის მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდების შეფასებისას არის კორექტული;

კ) გამორიცხავს კოლეგის დამცირებას, შეურაცხყოფას, ან ანონიმურად დადანაშაულებას;

ლ) მოქმედებს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით;

მ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ურთიერთობისას გამორიცხავს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათების, ან პროვილეგიების დაწესების მოთხოვნას, ან სხვა ისეთ შუამდგომლობას, რაც ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.

3. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად ჩაითვლება პროფესორ-მასწავლებლის შემდეგი ქმედება:

ა) პლაგიატი;

ბ) სტუდენტის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება;

გ) სტუდენტისგან, უნივერსიტეტში დასაქმებულისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (შემდეგში „ადმინისტრაცია“) ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას უნივერსიტეტის, როგორც მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებისადმი, უნდა უფრთხილდებოდეს უნივერსიტეტის სახელს და უნივერსიტეტის შენობაში, თუ მის გარეთ, იქცეოდეს უნივერსიტეტის ავტორიტეტისა და დაკავებული თანამდებობის შესაფერისად.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მოვალეა:

ა) საკუთარი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულების განვითარებაში;

ბ) შექმნას სათანადო პირობები სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის;

გ) შექმნას არადისკრიმინაციული გარემო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის;

დ) არ ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

ე) არ დაუშვას და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;

ვ) უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, ეფექტიანად გამოიყენოს უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

ზ) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

თ) პატივისცემით მოეპყრას უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;

ი) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და აირიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გადავივება;

კ) არ დაუშვას კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა, ან ანონიმურად დადანაშაულება;
ლ) იმოქმედოს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით.

მუხლი 6. სტუდენტი

1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით დადგენილიდა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები.

2. სტუდენტის მხრიდან ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა:

ა) აკადემიური თაღლითობა - გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გადასაწერად ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული ისეთი დამხმარე მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც არაა ნებადართული;

ბ) პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება;

გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით, სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

ზ) სხვა პირთან გარიგება იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით;

თ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

ი) სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება ან/და გაყალბებული მონაცემების გამოყენება;

კ) ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

ლ) უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა;

მ) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის;

ნ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული დირექტორის მიერ;

პ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა;

ჟ) უნივერსიტეტის ქონების დაკარგვა ან/და დაზიანება;

რ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

ს) ბილწსიტყვაობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ტ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

უ) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

ფ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა;

ღ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების გავრცელება ან/და გამოყენება;

ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;

შ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ჩ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან, თუ სხვა პირი საზოგადოების თანამშრომელი ან უნივერსიტეტის სტუდენტია, უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ;

ც) სხვა პირის დისკრიმინაცია - პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;

ძ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;

წ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის

მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება განისაზღვროს ერთი ან რამოდენიმე ერთობლივად ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- ა) წერილობითი გაფრთხილება რექტორის მიერ;
- ბ) გამოცდის ან წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება;
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით;
- დ) უნივერსიტეტის მიერ დანიშნული სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა;
- ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

4. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და პასუხისმგებლობის ზომის დადგენაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში.

მუხლი 7. ეთიკის დარღვევა

1. საზოგადოების საქმიანობაში ეთიკის ქცევის წესების დარღვევის სახეებია:

- ა) პლაგიატი - სხვისი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი ან შემოქმედებითი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება;
- ბ) სხვა თანამშრომლის ან სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლება/სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით, სხვისი ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- გ) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;
- დ) სტუდენტთან გარიგება იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით;
- ე) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, სტუდენტის მიერ ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;
- ვ) სტუდენტის შესახებ საზოგადოებაში დაცული ინფორმაციის/მონაცემების გაყალბება ან/და გაყალბებული ინფორმაციის/მონაცემების გამოყენება;
- ზ) საზოგადოების თანამშრომელზე ზეწოლა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის არასათანადო შეფასების მიღების მიზნით;
- თ) საზოგადოებაში წარმოსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების განზრახ არასრულად წარმოდგენა;
- მ) საზოგადოების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული საზოგადოების მიერ;
- პ) ბილწისიტყვაობა საზოგადოების ტერიტორიაზე;
- ჟ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის საზოგადოების ტერიტორიაზე;

დ) სხვა პირის დისკრიმინაცია - პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;

მუხლი 8. პლაგიატის შემოწმების პოლიტიკის დანერგვა

1. პლაგიატთან ბრძოლა მიზნად ისახავს ერთის მხრივ სხვისი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი ან შემოქმედებითი ნაშრომის გამოყენებას ავტორის მითითებისა და არსებული წესების დაცვის საფუძველზე, ხოლო მერეს მხრივ თავად სტუდენტთა უფლებების დაცვას მათი ნაშრომის შემდგომი გამოყენების დროს.

2. საზოგადოება უზრუნველყოფს სტუდენტის საავტორო უფლებების დაცვას მის ნაშრომთან დაკავშირებით. თუ სტუდენტის ნაშრომი გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა მისი სასწავლო პროცესისა და თუ სტუდენტს აქვს მასზე საავტორო უფლებები, მაშინ მას ეცნობება მისი ნაშრომის გამოყენების შესახებ და მხოლოდ მისი თანხმობით იქნება ნაშრომი ხელმისაწვდომი სხვისთვის.

3. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით;

ბ) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდული გამოცემების მეშვეობით მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული

მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოცემის უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

4. პლაგიატის შემთხვევებში დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხს აღძრავს პირი, ვინც სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებულია პლაგიატის გამოვლინების წყაროსთან (პასუხისმგებელია ანტიპლაგის დეტექტირების პროგრამის ორგანიზაციულ მართვაზე - ანტიპლაგის პროგრამის არსებობის შემთხვევაში).

5. აკადემიური საბჭო ვალდებულია ყოველ წლიურად განიხილოს ანგარიში გამოვლენილი პლაგიატის შემთხვევების და მათზე რეგირების შესახებ და წარუდგინოს რექტორს.

6. საზოგადოება უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული პერსონალის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკის შესახებ, კერძოდ, იღებს ვალდებულებას:

6.1. განათავსოს ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ვებ გვერდზე;

6.2. პერიოდულად ჩაატაროს ლექტორებისა/შემფასებლებისთვის ტრენინგები და სემინარები პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

6.3 პერიოდულად ჩაატაროს კვლევები და შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოახდინოს რეაგირება და რეგულაციების ადაპტირება;

6.4. უზრუნველყოს პლაგიატის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა საზოგადოებისათვის;

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

1. უნივერსიტეტის სტუდენტის და დასაქმებულის მიერ წინამდებარე ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის,

უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ამ პირთანდადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2. ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ:
ა) უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური საბჭოს სამდივნოს და რექტორის აპარატის პერსონალის წარმომადგენლებს - უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

ბ) სხვა დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვს უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს ან დასაქმებულს.

4. პლაგიატის შემთხვევებში დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხს აღძრავს პირი, ვინც სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებულია პლაგიატის გამოვლინების წყაროსთან (პასუხისმგებელია ანტიპლაგის დეტექტირების პროგრამის ორგანიზაციულ მართვაზე - ანტიპლაგის პროგრამის არსებობის შემთხვევაში).

5. ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართავს წინამდებარე კოდექსითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

6. ამკოდექსით გათვალისწინებული აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, რექტორის წარდგინებით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს წინამდებარე კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

7. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული მოკლევადიანი შედეგად წარმოდგენილ კომისიის დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას (მიმართავს რექტორს სტუდენტის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიმართ ამ კოდექსით და შინაგანაწესით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით), ამასთან, განსაზღვრავს აღმოჩენილ დარღვევაზე რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) წარდგინება, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტის ფარგლებში დაცულ ან დასაცავად წარდგენილ სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომზე ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების არსებობისას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოსთვის წერილობით დასაბუთებული დოკუმენტის გაგზავნას, მინიჭებული/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით;

ბ) მიმართვა, რაც წარმოადგენს შემდგომში დამრღვევ პირთან სამსახურებრივი ურთიერთობის (დასაქმების) შესაძლო დამყარების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დავალებას, ამ კოდექსით გათვალისწინებული

დარღვევის/დარღვევების არსებობის ფაქტის გათვალისწინების შესახებ.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნა დარღვევის არ არსებობის თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილება, ამავე სამართლებრივი აქტით, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სახელმძღვანელო გადაწყვეტილება წინამდებარე დებულებით რეგულირებულ საკითხებზე შესაბამისი პირის შესაძლო შემდგომ განცხადებებში დასმული საკითხის განხილვაზე/შესწავლაზე უარის თქმის შესახებ და განმცხადებლის მიმართ (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი უნივერსიტეტში დასაქმებულია) დისციპლინარული საქმისწარმოების აღძვრის შესახებ (სტუდენტის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები